№ 110
შაბათი, 7 ივნისი 1897 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 81 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 60 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877 – 1897

# ივერია

№ 110
შაბათი, 7 ივნისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 8 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, მთავარ-მართებლის სახლის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება სამზრუნველოს განყოფილების საბჭოს მორიგ წევრთა ამოსარჩევად და საზოგადოების 1895-96 წ. წ. მოქმედების ანგარიშის განსახილველად. (3—2)

მუშტაიდის ბაღში

კვირას, 8 ივნისს, მესამე დედათა გიმნაზიის მოსწავლეთა დამხმარებელ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით.

სეირნობის დროს დაუკრავს რამდენიმე ხორო მუსიკისა. საღამო ქამზედ შუშხუნები იქნება აშვებული.

შესასვლელი და ლატარიის ბილეთი ეღირება თითო აბაზი.

თუ ცუდი ამინდი დადგა, სეირნობა გადაიდება ორშაბათისთვის და ამ დღეს სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზედ.

(2—უ.—1)

**სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა, და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფებს შიაგასინჯვაეიძლებ დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას და საბებიოს მკურნალი **ე. ფ. ბაცევიჩი** (20 მაისს), და მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი-საქიმიო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისა, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

(10—6.—9)

ტფილისი, 6 ივნისი.

ვგონებთ სხვა არც ერთი ტფილისის ოდენი ქალაქი არ მოიძებნება რუსეთის სახელმწიფოში, რომელიც ასე უსუფთაოდა და უზრუნველად იყოს დატოვებული. თვით უმცირესი ქალაქებიც-კი ევროპის რუსეთისა ბევრად წესიერადა და სუფთად ინახება ქალაქის მზრუნველ მამათაგან და ჩვენნი პატივცემულნი ქალაქის გამგეობის უხუცესნი-კი ამისთვის არასოდეს არა ჰფიქრობენ. განა ეტყობა რაშიმე მოვლა და პატრონობა ჩვენის ქალაქის ქუჩებს? არა და არა! აიღეთ რომელიც გინდათ ქუჩა და, ბევრი-კი არა, ერთს კვირას ადევნეთ თვალი, რამდენჯერ დაჰგვიან და დაჰხვეტენ, ან მორწყავენ, და მაშინ დარწმუნდებით, რომ ეს საყვედური უსაბუთო არ არის. სისუფთავე-კი რომ ჩვენის ტფილისისათვის უფრო საჭიროა, ვიდრე რომელისამე ევროპიულ ქალაქისათვის, არც ეს არის დაფარული და სადავო იმისათვის, ვისაც-კი საქართველოს გარეშე უმოგზაურია ოდესმე.

წესი და რიგი ქუჩების დასუფთავებისა ამ ჩვენს დედა-ქალაქში იქამდის უცნაური და დაძველებულია, რომ მცირეოდნად შეგნებულს ადამიანსაც კი თავსზარს დასცემს, არამც თუ უცხოელსა. მთელის კვირობით ქუჩები ათასგვარ უსუფთაობითა და ვაივაგლახით სავსეა და მოთმინებით აღსავსე ქალაქის მცხოვრებნი მაინც მორჩილებითა და გულ-ცივად შესცქერიან თავიანთ კარმიდამოს წინ ამ გულ-ამრევს ნაგავს, ჰსუნთქავენ ამ მომშხამველს ამონაორთქლს ჰაერს და სდუმან. სდუმან იმიტომ, რომ იციან ლაღადი უქმად ჩაუვლით. განა ერთხელ და ორჯელ ყოფილა ადგილობრივს რუსულსა და ქართულს ჟურნალ-გაზეთებში ჩივილი ამ უსუფთაობის გამო, რომ ქალაქის მზრუნველთ ყურადღება არ მიუქცევიათ? მოსწყინდათ. მოსწყინდათ და ქალაქის მამათაც მოისვენეს ამ თავ-მოსაბეზრებელ საყვედურისაგან, კვლავ ძველებურად, კმაყოფილად დაიწყეს გულზედ ხელები და მიიძინეს; მიიძინეს იმისთვის, რომ სინიდისი არ ამხელთ მოვალეობას.

იქ, სადაც ზაფხულში თვით უსუფთავესი ქუჩებიც-კი მტვრის ბუღსა და ბუქშია გახვეული, მაგალითებრ, მიხეილისა და სხ.—გარდა იმ ორიოდ საათისა, როდესაც კვირაში რამდენჯერმე მოასხურებენ ხოლმე წყალს, ნუ თუ ის მაინც არ უნდა იფიქროს გამგეობამ, რომ ქალაქი დააგვეინ-დაახვეტინოს, თუ მორწყვას არ ალირსებს? აიღეთ ავჭალის ქუჩა. ამ რამდენისამე ხნის წინად მოვარდნილს წყალს რომ ქვიშა და ნაგავი ჩამოუხვეტნია და ქუჩაზედ მთებივით აუგროვებია, ისევ ისე აგროვია და ამოვარდნილი ქარი გამვლელ-გამომვლელს, სახლებს, სანოვაგის მაღაზიებსა და დუქნებს უბორიალებს. ძნელად რომ მნახველი არ შეჰზაროს ჩვენის ქალაქის უსუფთაობამ! აიღეთ მთელის კუკიის ქუჩები, ვერა, ჩუღურეთი (ავლაბარზედ არას ვიტყვით; იგი ქალაქის სიაში არა სწერია!) და სხვ. ყველა ერთი მეორეზედ უარესი და უსუფთაოა, უსწორ მასწორო, დაოღრო-ჩოღროვებული.

ქალაქის მცხოვრებთა ჯანსაღობაზედ ზრუნვა, მეტადრე იმ ნაწილისა, რომელსაც საშუალება არა აქვს საზაფხულოდ სადს სოფლის ჰაერს ეღირსოს, (თორემ თვითონ ქალაქის მზრუნველთ რა უჭირთ? მადლობა ღმერთს, ფულიცა აქვთ და გემოვნებაც, რომ საუკეთესო სააგარაკო ადგილები ხელთ იგდონ!) უპირველესს საგანს უნდა შეადგენდეს ჩვენის ქალაქის გამგეობისათვის და აი, სწორედ ეს ნაწილი ტფილისის მცხოვრებთა მუდამ მივიწყებული და აბუჩად აგდებულია. ეს ხომ ასეც უნდა იყოს: იმათ არც ხმის უფლება აქვთ და არც რამ შეძლება. მაშ რაო ჩემოო, რომ უსუფთაობა აწუხებთ, ქალაქის მამათა ზრუნვა მხოლოდ იმათკენაა მიმართული, ვისიც გვარი ამომრჩეველთა საპატიო სიაშია მოხსენებული და უფლება აქვს, როცა-კი დასჭირდება, თამამად წარუდგეს გამგეობის კრებულს. ქალაქიც ხომ იმათია!

იმედია, ამ გარემოებას დღეის შემდგომ მაინც ყურადღება მიექცევა, ვისგანაც ჯერ არს, და თუ იმ ზომამდე არ გაასუფთავებენ ქალაქს, როგორც ეს კარგად განწყობილს ქალაქებშია მიღებული, ეცდებიან ორ დღეში ერთხელ მაინც დაგავონ და მორწყონ ხოლმე ქუჩები, რომ ისედაც სიცხისაგან შეწუხებულმა ქალაქის მცხოვრებმა სული როგორმე მოიბრუნოს და სუფთა ჰაერით ისუნთქოს. დრო არის, მცირეოდენი ზრუნვა და პატრონობა იმათ შესახებაც აღმოიჩინონ; მეტადრე ეხლა, როდესაც შავის ჭირის გადმოტანისა მთელს ევროპას ეშინიან, და ჩვენ ხომ თითქმის კრიჭაში ვაკერივართ სპარსეთს, საიდამაც ძალიან ადვილია ამ სენის გადმოტანა. მაგრამ შავს ჭირს რომ თავი დავანებოთ, ისეც მრავალი სხვა-და-სხვა ავადმყოფობა იჩენს ხოლმე თავს ზაფხულობით ამ ჩვენს დედა-ქალაქში და მუდამ დიდს ზარალს აძლევს ხალხს. ეს ზაფხულობით მოარული ავადმყოფობანი-კი, ეჭვი არ არის, უფრო ქალაქის უსუფთაობის ბრალია, ვიდრე მცხოვრებთა დაუდევრობისა.

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

მეგონა ჭირში მოჰკვდები—
შენ ლომი შეიქენიო,
გულმა მაშინ შეგიყვარა
და სთქვა: ჭირიმე შენიო!
თაყვანს გცემს ჩემი გონებაც:
ლომიც ყოფილა ბრძენიო,
სულმა მოგიძღვნა ცრემლები
სატრფობლად დანადენიო.

დ. მაჩხანელი

### კაცი-ჭამია მგზავრი

მოთხრობა მარკ ტვენისა

სენ-ლუის გახლდით და უკან ვბრუნდებოდი. ინდიანასთან მეორე მატარებელში გადავჯექი თუ არა, ვაგონში შემოვიდა ხნიერი კაცი, ასე ორმოც-და-ათის წლისა, და ჩემს გვერდით დაჯდა. იმ წამსვე გავეცანით ერთმანეთს და გავაბით მასლაათი. უცნობმა კაცმა, შეიტყო რა, რომ ვაშინგტონელი ვარ, ჩამომიგდო ლაპარაკი საზოგადო საქმეებზედ, კონგრესზედ, და უნდა მოგახსენოთ, ძლიერ მალე დავრწმუნდი, რომ ამ კაცს კარგადა სცოდნია საზოგადო ცხოვრება ჩვენის სატახტო ქალაქისა და თვით სენატორთა და პარლამენტის წარმომადგენლებს ყველას თითოეულად კარგად იცნობდა. ერთს სადგურთან რომ მივედით, ფანჯრიდგან მოგვესმა:

— ჰო, გარრის, ჩემო კარგო, ეგ საქმე რომ მომიხერხო, ძლიერ დამავალებ.

უცნობს კაცს ამ სიტყვების გაგონებაზედ თვალები გაუბრწყინდა. უეჭველია სასიამოვნო რამ მოაგონდა. ცოტა ხანს შემდეგ-კი ისევ დაღონება დაეტყო. ბოლოს მომიბრუნდა დ მითხრა:

— თუ გნებავთ, ერთს მეტად საყურადღებო ამბავს მოგითხრობთ ჩემის ცხოვრებიდგან. პირობა-კი უნდა მომცეთ, რომ ლაპარაკს არ გამაწყვეტინებთ.

მეც, რა თქმა უნდა, ამის პირობა მივეცი და მომიყვა კიდეც საკვირველსა და საოცარს ამბავს.

#### უცნობის კაცის მოთხრობა

19 დეკემბერს 18.. წელს რკინის გზით მივდიოდი სენ-ლუიდგან ჩიკაგოში. მატარებელში 24 მგზავრი იყო, სულ მამაკაცნი, ქალი არც ერთი არ ერია. ყველანი კარგს გუნებაზედ ვიყავით. მალე ერთმანეთი გავიცანით და ასე ვფიქრობდით, ძლიერ დიდის სიამოვნებით ვიმოგზაურებთო; რა ვიცოდით, რა საშინელი განსაცდელი მოგველოდდა.

ღამის 11 საათზედ წამოვიდა თოვლი. მალე გავსცდით პატარა სოფელს ველდენსა და დავადექით თვალგადუწვდენელს და გაუთავებელს მინდორ-ხრიოკს, რომელიც იუბილეის ახალშენებამდეა გადაჭიმული. ასტყდა საშინელი ჰქარიშხალი და რკინის გზის ლიანდაგი ნამქერმა დაჰფარა. მატარებელი ებრძოდა თოვლს, მძიმედ ქშინავდა და ძლივს-ძლიობით ჰკაფავდა თოვლსა. ლაპარაკი შევსწყვიტეთ და დავღონდით. ყველას ეშინოდა, თოვლში არ მოვემწყვდეთო. საშიშიც იყო, რადგანაც 70 ვერსის მანძილზედ ახლო არსად იყო არც ქალაქი, არც სოფელი და არც სადგური.

ღამის ორ საათზედ გამომეღვიძა და ვიგრძენ, რომ მატარებელი გაჩერდა. „თოვლში დავიმარხენით!“ იმ წამსვე ამ აზრმა გამიელვა და ამავე დროს მომესმა ხმა:

— თოვლი გადავხვეტოთ!

ყველანი წამოვხტით და გარედ გავედით. კარგადა ვგრძნობდით, რომ ეხლა თითოეული წუთი ან დაგვღუპავდა, ან გადაგვარჩენდა. ზოგმა ნიჩაბი აიღო, ზოგმა ფიცარი და ზოგიც ხელითა ჰხვეტდა თოვლს. არ გასულა ერთი საათი და დავრწმუნდით, რომ ვერაფერს გავხდებოდით. რამდენს თოვლსაც ვხვეტდით, ერთი ათად მეტს აყრიდა ქარ-ბუქი. მემაშინემაც ძლიერ ცუდი ამბავი შეგვატყობინა, მატარებელს რაღაც გასტეხოდა და გზაც რომ ყოფილიყო, მაინც ადგილიდგან ვერ დავიძროდით. დაღლილნი, დაქანცულნი და დაღვრემილნი შევედით ვაგონში, მივუსხედით ღუმელს და ჩავფიქრდით. საჭმელი თან არა გვქონდა და ეს იყო ჩვენი დიდი უბედურება. სიცივისა არ გვეშინოდა, მატარებელს ძლიერ ბევრი ჰქონდა შეშა. ესეც კარგი ნუგეში იყო. კონდუქტორმა სთქვა, აქედგან სადგურამდე ფეხით წასვლა 70 ვერსის მანძილზედ ყოვლად შეუძლებელი არის ამ ქარ-ბუქსა და ნამქერშიო. ვინ იყო ჩვენი მხსნელი? ეჭვი არ იყო, ყველანი სიმშილით უნდა ამოვწყყვეტილიყავით.

ერთის საათის შემდეგ ლაპარაკი სრულიად მოისპო. გარედ ქარი საზარლად ზუზუნებდა. მივწექით მოწყენილნი ვაგონში და, ვისაც შეეძლო, ძილს მივეცით თავი.

ბოლოს, როგორც იყო, მტრედის ფრად გათენდა. ჯერ ერთმა მგზავრმა გამოიღვიძა, მერე—მეორემ და იმ წამსვე ფანჯარაში იყურებოდა. ვერაფრად სასიამოვნო ამბავი იყო თვალ წინ. ქარი ისევ ზუზუნებდა და გარშემო მთელი გორაკები იდგა თოვლისა.

მთელ დღეს დავეხეტებოდით ერთის ვაგონიდგან მეორეში. ძლიერ ცოტას ვლაპარაკობდით. უფრო ფიქრმა გაგვიტაცა ყველა. კიდევ ერთი ღამე და მერე შიმშილი...

კვლავ გათენდა და დადგა დღე იდუმალის სიჩუმისა, დარდისა, შიმშილისა და უიმედობისა. ღამე შესაწუხი თვლემა, სიზმრად მშვენიერი ვახშამი და დილით გაღვიძება ცალიერის კუჭით...

დადგა მეოთხე დღე და დაღამდა. მერე მეხუთე! ხუთი დღე და ღამე საზარელის ტყვეობისა! თითოეულ ჩვენგანის თვალებში სიმშილი იყო გამოხატული. ვგრძნობდით, რომ რაღაც საშინელი რამ უნდა მომხდარიყო. ყველა ერთსა და იმავეს ჰფიქრობდა, მაგრამ ამ ფიქრის გამოთქმას ჯერ ვერავინა ჰბედავდა.

გავიდა მეექვსე დღეც. მეშვიდე დღეს ადამიანებს აღარა ვგვანდით: ჩაყვითლებული სახე გვქონდა, ამღვრეული თვალები და სიკვდილის ფერი. აღსრულდა! საიდუმლო ფიქრი ბოლოს უნდა გამოითქვას. ეყო ბუნებას, რაც დაითრგუნა. ეხლავ თავისს უფლებას მოითხოვს. რიჩარდ გასტონი, მინეროტელი, მაღალ-მაღალი, ფერ-

როგორც ხშირად გვსმენია ზოგიერთისგან.

ინ-ანი.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესის ბრძანებით გამოცხადდა მთავარ-მართებლის მე-VII კლასის საგანგებო საქმეთა მოხელის თანამდებობის აღმასრულებელს, მის უდიდებულესობის კამერ-იუნკერს, კოლეჟსკი სეკრეტარს თავ. მუხრან-ბატონს—დაუყოვნებლივ შეუდგეს კავკასიის არხეოგრაფიის კომისიის სამუდამო წევრის მოვალეობის აღსრულებას.

დაჯილდოვებულ იქმნა ვერცხლის მედლით, გულზედ სატარებლად წმ. ანნას ლენტით, ტფილისის მაზრის, ახალსოფლის წმ. ნინოს ეკკლესიის მნათე, გლეხი ერმალოზ ლებანიძე.

ებოძა: კავკასიის გრენადერის მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის არტილერიის ბრიგადის პორუჩიკს ესაძეს—შტაბს კაპიტნობა.

გადაყვანილ იქმნა: სალიანის სარეზერვო რაზმის პორუჩიკი ნათიშვილი—ბაქოს ბრიგადაში.

გამწესებულ იქმნა—უფროსი უნტერ-ოფიცერი ალექ. ფანიაშვილი—ბორჩალოს სამაზრო მმართველობის კანცელარიის მოხელედ.

დანიშნულ იქმნა—ხაშურის საფოსტო კანტორის უფროსი, ტიტულიარნი სოვეტნიკი დავით მებურიშვილი—ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწედ.

გადაყვანილ იქმნა—მცხეთის საფოსტო განყოფილების, ფოსტა-ტელეგრაფის მეVI ხარისხის მოხელე, სიმონ პაიჭაძე—გუდაუთის საფოსტო განყოფილების მოხელედ.

დათხოვნილ იქმნა, თავისისავე თხოვნით, აშტარაკის საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი სიმონ თეთრუაშვილი.

## ახალი ამბავი

—

*** პოლიციის მე-10 განყოფილების დიდუბელ მცხოვრებთ შუამდგომლობა დაუწყიათ მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის წინაშე, რომ ამ ნაწილის სამი უმთავრესი ქუჩა ელისაბედისა, დოლუხანოვისა და ახალი-მიხეილისა ქვით იქმნას მოკირწყლული ტფილისის გამგეობის მიერ.

*** სამოსამართლო პალატის 1-ლის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარე თავ. ნ. დ. ჭავჭავაძე პეტერბურგიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** დუშეთის მაზრის ს. ანანურში სახადით ავადმყოფობა აღმოჩენილა.

*** რადგანაც საქონელს თურქული გაჩენია საქართველოს სხვა და სხვა ადგილას, ამისათვის ქალაქის გამგეობას საგუბერნიო მმართველობისათვის მიუმართავს და უთხოვნია, დაავალოს ქალაქის ბეითალებს საკლავ საქონელს მეტი ყურადღება მიექცეს დღეის შემდეგ.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ სამეურნეო მინისტრს აგრონომის ტიმოფეევის მაგიერად ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგედ კრავჩენკო დაუნიშნავსო. ამის შესახებ ადგილობრივის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ჰქონდა და გარდაუწყვეტია, რომ სკოლის გამგეს დანიშვნის უფლება წესდების ძალით თვით საზოგადოებას ეკუთვნისო, და დაუდგენია, საზოგადოების პრეზიდენტს კავკასიის მთავარ მართებელს თავადს გოლიცინს წარუდგინოს ყველა საბუთი, რომლის ძალითაც უფლება ეძლევა სკოლის გამგე საზოგადოების საბჭომ დანიშნოს ხოლმე.

*** მომავალის სეზონისათვის სახელმწიფო თეატრი ბ-ნს ფორკატის აუღია. ფორკატი უკვე წავიდა ტფილისიდგან, რომ საოპერო არტისტთა ამხანაგობა შეადგინოს. მომავალს სეზონში ასამდე წარმოდგენა იქნება გამართული უცხოელ და რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებიდგან.

*** ტფილისის გუბერნატორმა თავ. გ. დ. შერვაშიძემ ამ 1897 წლიდგან სამის წლის ვადით მირაბებად დაამტკიცა გლდანში: აზნ. კ. ე. მირზაშვილი, კანდიდატად თავ. დ. ს. გურამიშვილი, საბჭოს წევრებად—ი. დ. ამირანაშვილი, ს. ბ. ოდიშვილი და გ. ა. სულხანიშვილი; ალგეთში: მირაბად—ა. ნ. თილაშვილი და იმის კანდიდატად—გ. ს. გულქანოვი; მაღლაფერში: საოლქო საკრებულოს წევრად—თავ. ი. დ. ხერხეულიძე, კანდიდატად—ნ. ბ. ბასილაშვილი.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში 20 ივნისს გაირჩევა საქმე სტეფანე მუროლევისა, ილია ნოსოვისა, სარდიონ ხაგაძისა და ალექ. ბერიტაშვილისა, რომელთაც ამიერ კავკასიის რკინის გზის ვაგონიდგან საქონლის მოპარვა ჰბრალდებათ.

*** 5 ივნისს სასტუმრო „ვერსალში", რომელიც ელისაბედის ქუჩაზე იმყოფება, 18 წლის ახალგაზდამ ალექსანდრე გიორგის ძე სალიბეგოვმა თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავით. პოლიციამ გრძნობა დაკარგული სალიბეგოვი მაშინვე საავადმყოფოში გაგზავნა, მაგრამ ექიმებმა ვეღარა უშველეს-რა და გარდაიცვალა. მიზეზი თავის მოკვლისა ნამდვილად არავინ იცის. როგორც ჰფიქრობენ, თავის მოკვლის მიზეზი ადგილის უქონლობა უნდა ყოფილიყოს, რადგანაც ამ ბოლო დროს ხან ტფილისსა და ხან ბაქოში სულ ერთავად ადგილს თურმე დაეძებდა.

*** ქსნის-ხეობა. ქსნის-ხეობის სოფლები: ახალგორი, საძეგური, კორინთა და ყანჩაეთი სეტყვისაგან ძლიერ დაზარალდა. უმეტესი ზარალი ახალგორს მიეცა: ვაზს და ხეხილს ფოთოლიც-კი აღარ შერჩა; ჭირნახული გასათიბად, ბალახად-ღა გამოდგება, ზარალის რაოდენობა საგრძნობელია. ადგილობრივ ადმინისტრაციას სეტყვის ზარალი ჯერ არ აუნუსხავს.

*** თელავი. გადუღებელ წვიმებისაგან წარმომდგარი ნიაღვრები სულ ერთიანად უწამლავს ვულს კახელსა, იგი ვეღარც გაზაფხულის ცხოველთ-მყოფელობითა სტკბება და ვეღარც მომავალის იმედით: გაზაფხულის ცხოველთ-მყოფელობა შთაინთქა განუწყვეტელ წვიმის ნაკადულში და კახელის მოსავლის იმედსაც საცა არის სრულიად გადაჰრეცხავს იგივე ნაკადული, რომელიც ასე ბეჯითად უშლის მემამულეს და განსაკუთრებით ხელს უცარავს ვენახის წამლობის საქმეში. კახელების დაღონება თელავსაც ეტყობა, თელავიც თანაუგრძნობს კახელის მწუხარებას, კარგად იცის თელავმა, რომ კახეთის მოსავლის დიდი ლუკმა თელავის სარგოა და საკვირველი არ არის, რომ ამ დიდ ლუკმაზედ მწუხარებდეს იგი. ცა ზევიდგან დაგვტირის და ჩვენ ქვევიდამ შევტირით: ცის ცრემლი ჩვენ გვიყუჩებს გულსა და ჩვენი ცრემლი ცასა.

*** გამოვიდა მეVI № „მოამბე"-სი შემდეგის შინაარსით:

„მოლიპულ გზაზე".—მოთხრობა ან. ერისთავისა (გაგრძელება); „დავდივარ ტყეში და ვტირი..."—ლექსი ჰეინედან, თარგმანი შ. მღვიმელისა; „...გამარჯვება ჩვენია!"—მოთხრობა ემილ ზოლასი, თარგმანი X-სა; „მიჯაჭული პრომეთე"—დრამა ესხილისა (დასასრული); „გლეხი-კაცის ისტორია".—ნაწილი მეორე.—ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა; „მთათ მითხრეს..."—ლექსი ვაჟა-ფშაველასი; „...სულ ერთია!"—ეტიუდი შ. არაგვისპირელისა; „სამურზაყანო".— VI—VII—VIII.—მგზავრის წერილები, თ. სახოკიასი (დასასრული), „ერობის მნიშვნელობა ჩვენთვის".—თ. გიორგი თუმანიშვილის წინადადება.—მისი სასხვიმინდლოდ გადადება.—ჩვენში ერობაზე წერა და საუბარი 1871-ში.—„არ გვინდა, არაო!"—დაგვბეგრეს, თუ არა?—პოლიცია, მისი ყოვლის-შემძლებლობა და ყოვლის შეუძლებლობა.—რუსეთის ერობა.—მისი თავდაპირველი შეცდომა.—შემდეგი მისი ღვაწლი და სიკეთე ერის განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ზარალის ზღვევაში, მიწა-წყლის შეძენაში, მეურნეობის დახმარებაში და სხვ. და სხვ.—რუსეთის ერობამ რა გაარიგა?—უზენაესი ჩვენი საქმე და საჭიროება ნ. ნიკოლაძისა; „ჩვენსა და სხვაგან".—I. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების წლიური კრება; II. რა იხსნის თავად-აზნაურობას დალუპვისაგან; „საქართველოს სიძველენი".

—◆◆—

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ქწერი,** (ქუთაისის მაზრა), 4 ივნისი. ჩვენის საზოგადოების მცხოვრებლები, წარსულის წლების მოუსავლობით დაშინებულნი, მოუთმენლად შეჰყურებენ ცას, იქნება შეგვიბრალოს და წვიმა გამოგვიგზავნოსო, მაგრამ აგარ ერთი თვე გავიდა და ჯერ მიწა არ დასველებულა; ყანები დაითესა თუ არა, შემდეგ ცვარი წვიმაც აღარ ჰღირსებია. უზომო მწუხარებაში არიან საწყალი გლეხები: წარსულის წლის ზოგიერთი გარდასახადი კიდევ გადაუხდელი აქვთ და მოსავალის იმედი-კი აღარ აქვთ; მეტის სიცხით ბალახი გახმა და საქონელი სიმშილით იხოცება. შარშან ხშირი წვიმები იყო მოუსავლობის მიზეზი და წელს ნამეტანი გოლვა თავს აზრებს სოფლელებს. ვენახისაგან კი კარგა ხანია თავისუფალნი ვართ: ფილოქსერაც არ დასჭირებია, უიმისოდაც გახმა; მთელს საზოგადოებაში არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომ უსასყიდლოდ ღვინო ჰქონდეს, და თუ ვინმე იყიდის, ისიც ასში ხუთი გამორჩება, დანარჩენი წყალს სვამს, რადგან უფულობაც აწუხებთ. სიმინდს ფასი არა აქვს, რომ გაჰყიდოს, და რჩება გასაყიდი; დ. სამტრედიაში დღეს ფუთი სიმინდი იყიდება 30 კ., ხან-კი 28 კაპეიკად. წელს ისევ აბრეშუმის ჭიის იმედი აქვთ ჩვენ სოფლელებს, თუ იმანაც არ უღალატა.

მიხდილი, თვალებ-ამღვრეული კაცი მძიმედ წამოდგა. იმ წამსვე მივხვდით, რაზედ დაიწყებს ლაპარაკს და სმენად გადავიქეცით.

— ბატონებო, კმარა ამდენი მოთმინება, დრო დადგა! უნდა გადავწყვიტოთ, ვინ უნდა მოკვდეს. ამდენის შიმშილის მოთმენა შეუძლებელია!

წამოდგა ბ-ნი ჯონ უილიამსი, ილლინოისელი, და სთქვა:

— ბატონებო, მე ჩემის მხრივ ამირჩევია მისი მეუფება ჯემს სოიერი, ტენნესელი.

ბ-ნმა ადამსმა, ინდიანელმა, დაასახელა ბ-ნი დანიელ სლოტი, ნიუიორკელი.

ბ-ნმა ჩარლზ ლანგდონმა დაასახელა ბ-ნი სამუელ ბაიენი, სენ-ლუის მცხოვრები.

ბ-ნი სლოტი. ბატონებო, მე მადლობას ვაცხადებ პატივის-ცემისათვის, უარს ვამბობ კანდიდატობაზედ და ჩემის მხრივ ვასახელებ ბ-ნს ჯონს ნოსტრანდს, ახალ ჯერსეის მცხოვრებს.

ბ-ნი გასტონი. თუ ამის წინააღმდეგი არავინ აღმოჩნდა, პატივცემულ ჯენტლმენის სურვილი ასრულებულ იქნება.

მაგრამ თვით ბ-ნი ნოსტრანდი არ დასთანხმდა ამას და ბ-ნ სლოტის უარ-ყოფა კრებამ არ შეიწყნარა. უარი განაცხადეს აგრეთვე კანდიდატებზედ ბ-ნმა სოიერმა და ბ-ნმა მოუენმა. მაგრამ კრებამ არც ამათი უარი შეიწყნარა.

ბ-ნი მასკოლმი. ბატონებო, ჩემის აზრით, უკეთესი იქმნება კამათობას თავი დავანებოთ და კენჭის ყრით გადავწყვიტოთ, ვინ უნდა შეიქმნეს მსხვერპლი ჩვენის შიმშილისა.

ბ-ნი სოიერი. ბატონებო, მე ვერას გზით ვერ დავეთანხმები ბ-ნ მასკოლმის აზრს და წინააღმდეგი ვარ კენჭის ყრისა. ჩემის აზრით, აქ კენჭის ყრა მოუხერხებელია და სრულიად არ არის საჭირო. მე მგონია უკეთესი იქმნება ავირჩიოთ კრების თავჯდომარე და მისი თანაშემწენი, რომ უფრო წესიერად წავიდეს კრების საქმე.

ბ-ნი ბელლი, ოტაველი. პატივცემულო ბატონებო. ეხლა დრო არ არის ლაპარაკისა და გთხოვთ ტყუილ უბრალო ფორმალიზმს ნუ გამოეკიდებით. რა დროს წესიერებაა კრებისა და რა დროს თავმჯდომარეა? შვიდი დღეა არაფერი გვიჭამია. თითოეული წამი ძვირფასია ჩვენთვის. მე ჩემის მხრით კმაყოფილი ვარ, ვინც დასახელებულ იქმნა და მგონია, დანარჩენებიც ყველა კმაყოფილია...

ბ-ნი ნოსტრანდი. ბატონებო, მე თქვენის ქვეყნისა არა ვარ. მადლობელი გახლავართ პატივისცემისათვის, მაგრამ გთხოვთ განმათავისუფლოთ.

კამათობა ამითი გათავდა. კრებამ აირჩია თავმჯდომარედ ბ-ნი გასტონი, მდივნად—ბ-ნი ბლეკი და წევრებად—ბ-ნი ჰალკომბი და ბ-ნი ბალდვინი.

კრება დაიშალა ნახევარ საათით. განახლების უმალვე კომიტეტმა წარმოადგინა კანდიდატებად: ჯორჯ ფერგუსონი, კენტუკის მცხოვრები, ლიუსენ ჰერმანი, ლუზიანელი, და მესსიკი, კოლორადოს მცხოვრები.

მისსურის მცხოვრებმა ბ-ნმა როჯერსმა ლაპარაკის ნება ითხოვა.

— ბ-ნო პრეზიდენტო, ასე დაიწყო ლაპარაკი: მე მსურს ცოტაოდნად შევსცვალო თქვენი განაჩენი. მე მსურს ბ-ნ ჰერმანის მაგიერად კანდიდატად წარმოდგენილ იყვეს სენ ლუის მცხოვრები ბ-ნი ლუციუს გარრისი, კაცი ჩვენ მიერ კარგად ცნობილი და პატივცემული. რა თქმა უნდა, ამით მე არა მსურს ვთქვა, ვითომ ბ-ნი ჰერმანი ღირსი არ იყვეს ჩვენის პატივისცემისა. არა, პირადად მე დიდს პატივსა ვცემ ბ-ნს ჰერმანს. მაგრამ, ბატონებო, მგონია ყველანი კარგად ატყობთ, როგორ გახდა და ჩამოხმა ამ დღეებში ბ-ნი ჰერმანი და არავინ უარ-ჰყოფს, რომ კომიტეტი დაუდევრობისა, მოუფიქრებლობისა ანუ სხვა მიზეზისა გამო, ძლიერ შესცდა, რომ კანდიდატად წარმოადგინა ჯენტლმენი, ასე გამხდარი და ჩამომხმარი...

თავმჯდომარე. ვთხოვ მისსურელ ჯენტლმენს თავის ალაგას დაბძანდეს. მე არავის არ მივცემ ნებას კომიტეტის შეურაცხებისას. ბატონებო, ვისა გაქვთ კიდევ სათქმელი რამ?

ბ-ნი გოლლიდეი, ვირგინიელი. მეც ჩემის მხრივ ვთხოვ კრებას ბ-ნ მესსიკის მაგიერად კანდიდატად დანიშნოს ბ-ნი გარვეი, ორეგონის მცხოვრები. შეიძლება ამაზედ მიპასუხოთ, რომ განაპირ ქვეყნებში ცხოვრებისა გამო ბ-ნ გარვეის რბილი ხორცი არ ექმნებაო. მაგრამ ეს მიბრძანეთ, ბატონებო, რა დროს კამათობაა იმის შესახებ, ვისა აქვს რბილი ხორცი და ვის მაგარი? არა, ბატონებო, ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ტანის სიდიდეს წონას, და არა ნიჭს, გენიოსობას და განათლებას. იმედი მაქვს, კრება ჩემს თხოვნას შეიწყნარებს.

ბ-ნი მორგანი (აღელვებით). მე წინააღმდეგი ვარ ბ-ნ გოლიდეისა. ორეგონელი ჯენტლმენი ბებერია და თუ ტანით დიდია, ეგ ძვლების სიდიდის ბრალია და არა ხორცისა. ერთი ეს მიბრძანეთ, რა თავში ვიხლით მაგის ძვლებს? ბულიონი ხომ არ გნებავთ მოხარშოთ? არ მოტყუვდეთ, ბატონებო! ეს დაცინვაა ჩვენი, ჩვენის გრძნობის შელახვაა, ჩვენი დამცირებაა! რად გვინდა ეგ რაღაც ჩონჩხი ორეგონელის ჯენტლმენისა! არა, არ გვინდა! ეგ მოტყუებაა ჩვენი! (ტაშის ცემა).

კარგა ხნის კამათობის შემდეგ კენჭი ჩამოატარეს და გოლიდეის წინადადება უარ-ჰყვეს მრავალის კენჭის უმეტესობით. ორ კანდიდატს მესამეც მიუმატეს—ბ-ნი გარრისი. მერე კენჭის ყრა დაიწყო. ხუთჯერ ჩამოატარეს კენჭი, მაგრამ არა გამოვიდა-რა. მეექვსეთ არჩეულ იქმნა ბ-ნი გარრისი, ყველამ თითო კენჭი ჩაუგდო ბ-ნს გარრისს, რა თქმა უნდა, თვით გარრისის გარდა.

მაშინ ბ-ნმა რედვეიმ მოახსენა კრებას, ხვალისთვის მეორე კანდიდატი აირჩიეთო. პირველ კენჭის ყრის დროს კრება ორად გაიყო. ზოგი ერთის კანდიდატისაკენ იყო, მისის ახალგაზდობისა გამო, ზოგი-კი—მეორე კანდიდატისაკენ, რადგანაც ეს უფრო დიდის ტანისა გახლდათ. ბოლოს თვით თავმჯდომარე მეორე კანდიდატს მიემხრო და ამ გვარად არჩეულ იქმნა ბ-ნი მესსიკი. ბ-ნ ფერგიუსონის მომხრეებს ეს არ ესიამოვნათ, დაიწყეს ლაპარაკი, ეს არჩევანი უკა-

დღემდე ერთად ერთი სახსარი ორიოდე გროშის შოვნისა იყო ამ საზოგადოებაში ხშირი ტყეები, რის გამოც დარქმევია ამ სოფელს და მთელს საზოგადოებასაც სახელად „ეწერი“. თითოეული მოსახლე ჰყიდდა ყოველ წლობით 7—8 საჟენს შეშას, დღეს-კი ისე გაანადგურეს, რომ მალე თავისთვისაც საყიდელი ექმნებათ, არა თუ გასასყიდი, რადგან ხეს მირში სჭრიან, აპობენ და გააქვთ გასასყიდად; შემდეგ მირში აჭრილი ტყე შეუკავებელი რჩება და საქონელი აღარ აცლის ზრდას. მეტად ხელს უწყობს ჩვენს სოფლებს აქვე ახლომახლო გამართული ბაზრობა, სადაც მცხოვრებლებს გააქვთ ყოველგვარი ხორაგეულობა გასასყიდად.

გზები ჩვენს საზოგადოებაში უმეტეს ნაწილად ჯერ-ჯერობით კარგია, მაგრამ ეხლა-კი სჭირდება ზოგიერთ ადგას შეკეთება, რადგან შარშანდელმა ნიაღვრებმა გადარეცხა ქვიშა. იმედი უნდა ვიქონიოთ, ჩვენი მამასახლისი არ დაგვტოვებს ამით გულნაკლულად, შეაკეთებს ამ გზებს და არ გადასცემს მომავალს ადმინისტრატორს ამ ვალდებულებას.

იმ უბნის მცხოვრებლნი, სადაც სოფლის სამმართველო სდგას, მოკლებულნი არიან წირვა-ლოცვას ეკკლესიების სიშორისა გამო: ზოგი ეკკლესია 2 ვერსის და ზოგი 3 ვერსის სიშორეზედ არის. ამ უბანში მცხოვრებლებს წელიწადში ორჯელ ნახავთ ეკლესიაში, შობასა და აღდგომას. რაიცა შეეხება სწავლა განათლებას, ჩვენი სოფლები შედარებით ჩვენ მეზობელ სოფლებთან დაქვეითებულია; სხვაგან თუ ორს ორ-ორ კლასიან სასწავლებელს ინახავენ, აქ ერთის ერთ-კლასიანის შენახვაც უჭირთ. აგერ 20 წელია, რაც აქ არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და არ იქნა, ვერ გედირსეთ იმის ორკლასიანად გადაკეთებას; მთავრობა გვაძლევს შემწეობას 300 მ., მაგრამ როდესაც მოვახდინეთ კრება ამის შესახებ, ყოველთვის მოხუცებულებმა ჩაგვიშალეს საქმე. ამ სასწავლებელში ყოველ წელს სწავლობს 60 მოსწავლე, რომლებიც შემდეგ ღვთის ანაბარა რჩებიან, რადგან ვერსად განაგრძობენ სწავლას. საზოგადოება შესდგება 600 კომლის გლეხისაგან, აზნაურებს გარდა, რომლებსაც თამამად შეუძლიათ, თუ მაინდომებენ, ორკლასიანის სასწავლებლის შენახვა, მაგრამ არა გვყავს მთელს საზოგადოებაში ამ კეთილის გრძნობით გამსჭვალული კაცი. გლეხები ჩვენსკენაც სოფლის ექიმ-მკითხავებს უფრო პატივს სცემენ, ვიდრე ექიმს. ასეთი მატყუარა მოხელეები იმყოფებიან აქეთ ერთი ს. დიდიჯიხაიში და მეორე კულაშელი ურია, რომლებიც დადიან სოფლებში და სძარცვავენ გლეხებს. ამას წინად ამ სოფლის მცხოვრებმა კაალაძემ დასჭრა წვივში ამავე სოფლისა ზამბახაძე; ექიმის მაგიერ მოუყვანეს ვიღაც სოფლის კაცი, რომელმაც გაჭრილი მარდვი ერთი მეორიზედ ბაწრით გადააბა, სისხლი ვერ შეაკავა და საწყალი ახალგაზდა ზამბახაძე ერთის კვირის განმავლობაში გარ დაიცვალა. როდესაც მაზრის ექიმი მობრძანდა და გასჭრა მკვდარი, სთქვა, რომ ეს კაცი ჯანმრთელი ყოფილა და უექიმობით მომკვდარაო.

საჭიროა, რომ ადმინისტრაციამ ასეთ ექიმებს აღუკრძალოს სოფლებში სიარული.

ვლადო ბზვანელი

## ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოდ.

სადაა ზაფხულიც დადგება და ჩვენი მასწავლებლები მოსვენებას მიეცემიან. ცხრა თთვის გამუდმებულის ჯაფის შემდეგ და მერე ისეთის ჯაფის, როგორიც არის მასწავლებლობა, რასაკვირველია, რიგია რომ კაცმა შეღავათი მისცეს თავის თავს, ძალ-ღონე მოიკრიბოს ხელ-ახალის მუშაობისათვის, მაგრამ მოსვენებაც არის და მოსვენებაც. მოსვენება იმას კი არა ჰნიშნავს, რომ ადამიანი მთელი ორი-სამი თვე მხარ-თეძოზედ წამოწვეს და ამთქნაროს. ამნაირი მოსვენება, ჯანმრთელობის მაგიერ, ავადმყოფობას აჩენს. საკვირველია, როგორ უნდა შესძლოს ჯანსაღმა კაცმა მთელი ორი თვე სახლში ყოფნა უსაქმოდ. საუბედუროდ ჩვენი მასწავლებლები-კი სწორედ ასე იქცევიან. არსად მასწავლებლები არა ჰკარგავენ თავისუფალს დროს ისე უმნიშვნელოდ და უნაყოფოდ, როგორც ჩვენში: მთელი ზაფხული ან სხედან სახლში ფეხ-მოკეცილნი და ან დაყიალობენ აქეთ-იქით უაზროდ. სხვა ქვეყნებში-კი სწორედ ამ დროთი სარგებლობენ თავისა და სხვის ქვეყნების შესასწავლად. იქ ზაფხულს გულის ძგერით მოელიან, რომ გამართონ ეგრედ წოდებული „ეკსკურსიები“ თავისდა სასიამოვნოდ და ქვეყნის სასარგებლოდ. იქ მოსვენება მხოლოდ საქმის გამოცვლას ჰნიშნავს, ავენში-კი გვერდზედ წამოწოლასა და ძილს.

ნეტა როდის შევიგნებთ ჩვენც სხვებსავით, რომ საჭიროა ჩვენის ქვეყნის შესწავლა, მისი სხვა-და-სხვა მხრით გაცნობა. ის ამბავი ხომ დასამალავი აღარ არის, რომ ჩვენ, ქართველები, ჩვენსავე ქვეყანას ვერ ვიცნობთ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე გადამთიელი ინგლისელი ან ფრანგი უფრო დაახლოვებით იცნობს ჩვენის ქვეყნის ავ-კარგიანობას, ვიდრე ჩვენ. ეს მხოლოდ ჩვენისთანა თავ მინებებულ და უდარდელ ხალხს თუ დაემართება. ჩვენის ქვეყნის გასაცნობად და შესასწავლად ცხრა მთის იქიდგან მოდიან უცხოელნი, არ ერიდებიან არც ფულის ხარჯას, არც შრომას და ასე, წარმოიდგინეთ, არც სიცოცხლეს იზოგვენ (მოიგონეთ სამისა თუ ოთხის ინგლისელ მეცნიერების დაღუპვა, სვანეთის მთაზე ამ ხუთი-ექვსის წლის წინად), ოღონდ-კი თვისი წადილი შეისრულონ—ქვეყანა დაათვალიერონ. ჩვენ-კი, ღმერთმა შეგვინახოს, ვსხედვართ ჩვენთვის არხეინად, თითქოს ჩვენი ქვეყანა ხელის გულივით დავლილი და შესწავლილი გვქონდეს.

მაგრამ დავანებოთ თავი საყვედურს და საქმეზედ გადავიდეთ; სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, ტფილისსა და ქუთაისის გუბერნიებში 300—400 ქართველი მასწავლებელი მაინც გვეყოლება (აქ, რასაკვირველია, მე სოფლის მასწავლებლებსაც ვთვლი). აი, ეს ამოდენა ჯარი განათლებულ კაცებისა სრულიად უნაყოფოდ ატარებს მთელს ზაფხულს. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ამათგან არა მცირედი ნაწილი ზაფხულშიაც ჯაფას ეწევა თუ სიღარიბისაგამო, თუ ოჯახისათვის. ამათ შესახებ, რასაკვირველია, არაფერი ითქმის,—თუ კაცს სახლში თავისი ბავშვები უტირის, ის სხვისას როგორღა მოუვლის. მაგრამ რა უნდა ვსთქვათ იმათ შესახებ, რომელთაც არც ბავშვები უტირით, არც სიღარიბე აწუხებთ და მოცალეობაც არ აკლიათ? 300—400 კაცში სულ რომ დავამციროთ, ასი კაცი თუ არა, 80 მაინც იქნება სრულიად თავისუფალი. ვითომ ცოვდა იქნება, რომ ეს მოცლილები დაიყვნენ ჯგუფებად და წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში მისდა გასაცნობად, შესასწავლად მისის ავ-კარგიანობის შესატყობლად, რათა ცუდი თუ კარგი შემდეგ ქვეყანას გაუზიარონ.

იტყვიან, ეგ მეცნიერების საქმეა, ჩვენ რა უნდა ვაკეთოთო. შემცდარი აზრია. რასაკვირველია, მეცნიერი უფრო გამოარკვევს საქმეს, ვიდრე უბრალო მომაკვდავი, მაგრამ თითოეულ ჩვენგანსაც დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ქვეყანას, თუ-კი ის თავისის ნიჭისა და ცოდნის შესაფერად იმუშავებს ნუ თუ უბრალო გეოგრაფიული ანუ ეთნოგრაფიული აღწერილობა რომელისამე კუთხისა, ანუ ხალხის ნაწარმოების რვეულში ჩაწერა მეცნიერულ ნიჭსა თხოულობს? აბა რა მეცნიერია ზ. ჭიჭინაძე, რომლის წერილებს ქობულეთის შესახებ სიამოვნებით ვკითხულობდით შარშან გაზ. „ივერიაში“? არა, თუ გული გულობს, ქადა ორისავე ხელებით იჭმევა: თუ მოვინდომებთ, ჩვენც შეგვიძლია სარგებლობა მოვუჩინოთ ჩვენ ქვეყანას.

რა ჰქნას მეცნიერმა, თუ შეუმუშავებელი მასალა მაინც არა აქვს ხელში. აი სწორედ ამისთანა მასალის შესაგროვებლად უნდა გაეშურნენ ჩვენნი მასწავლებელნიც სხვა-და-სხვა ადგილს და ამითი თავისი თავიც ასიამოვნონ და საზოგადო საქმესაც შემწეობა აღმოუჩინონ.

ბეს. სა—ლი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პრეზიდენტის ფორის რუსეთში გამგზავრების სურვილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც თვით საფრანგეთის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ჟურნალ-გაზეთებში. ათასნაირად ხსნიან და განმარტავენ ჟურნალ-გაზეთები ამ გამგზავრების მიზეზს და შედეგს და ბევრი სასიკეთო და სასარგებლო რასმეს ხედავს ამ გარემოებაში, ბევრი-კი, პირ-იქით, ცუდს და არა სასურაელს შედეგს მოელის. განსაკუთრებით ამ გარემოებამ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთები და საპოლიტიკო მოღვაწენი აალაპარაკა. ჯერ იყო და ყველანი ერთხმად იმ შიშს მიეცნენ, რომ გზაში სადმე ფორი შეიძლება გერმანიის იმპერატორს შეხვდესო. ყველას მოეხსენება, რა დიდი მტრობა და სიძულილია საფრანგეთს და გერმანიის შორის. საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთების სიტყვით, გერმანიის იმპერატორი დიდი ხანია სცდილობს საფრანგეთთან შერიგებას და სწორედ ეხლა ისარგებლებს თვისის პეტერბურგში გამგზავრებით და სადმე გზაში დახვდებაო. ფორი, რასაკვირველია, იძულებული იქნება კარგად მიიღოს იმპერატორი ვილჰელმიო და ეს გარემოება კი შეძლებას მისცემს იმპერატორს პარიჟის 1900 წლის გამოფენას დაესწროს, რაიცა ფრანგებისთვის არა სასურველიაო.

---

ნონოა, კასაცია შევიტანოთ და ხელმეორედ მოხდეს არჩევანიო, მაგრამ თამვჯდომარემ გამოაცხადა, კრება ცოტა ხნობით შემიწყვეტიაო, და მიტინგი დაიშალა.

თავმჯდომარის მომხრეთა და ბ-ნ ფერგიუსონის მომხრეთა შორის დაუსრულებელი მითქმა მოთქმა და ლაპარაკი ასტყდა, მაგრამ ამ დროს სასიამოვნო ამბავი მოგვივიდა: ბ-ნი გარრისი უკვე შეიწვა და ვახშამი მზად არისო. ღმერთს გეფიცებით, ჩემს სიცოცხლეში ასეთი მშვენიერი ვახშამი არ მიჭამია. როგორ გამოვიცვალენით ამ ორიოდ საათის განმავლობაში. დილით ყველანი დაღვრემილნი ვიყავით, სასოწარკვეთილნი, შიმშილისაგან ძალ-ღონე გამოლეულნი. საღამოთი ყველას სახეზედ იხატებოდა სიხარული, იმდენად ძლიერი, რომ ენით არ გამოითქმის. ასეთი ბედნიერი წამი ჩემს სიცოცხლეში არ გამომივლია.

ქარი ისევ ზუზუნებდა გარედ, მაგრამ ეს აღარ გვაწუხებდა. ბ-ნი გარრისი ძლიერ გემრიელი გამოდგა. მართალია, კარგი მზარეული უფრო გემრიელად შესწვავდა იმისს ხორცს, მაგრამ, გეფიცებით პატიოსნებას, რომ არც ერთის კაცისაგან არ მიგემია ისეთი სიამოვნება, როგორც ბ-ნმა გარრისმა მე მასიამოვნა. არც ბ-ნი მესსიკი იყო უგემური, მაგრამ გარრისისთანა მაინც ვერ გამოდგა. ბ-ნ მესსიკს ძლიერ გამხდარი და მაგარი ხორცი ჰქონდა. ვერ წარმოიდგენთ, რა მაგარი იყო, ძლივსა ვღეჭავდით ..

— როგორ, განა ისიც შეჭა...

— აკი გთხოვეთ, ლაპარაკს ნუ გამაწყვეტინებთ-მეთქი. მეორე დღის ვახშმისათვის ავირჩიეთ დეტრუას მცხოვრები ბ-ნი ჟოკერი. ესეც გემრიელი გამოდგა. მესამე დღეს გვაჭამეს ალაბამის მცხოვრები ბ-ნი მორგანი. სწორედ უნდა მოგახსენოთ, ასეთი მშვენიერი კაცი ჩემს სიცოცხლეში არ მიჭამია — თვალ-ტანადი, განათლებული, ნასწავლი, ზრდილობიანი, ერთი სიტყვით, ბ-ნი მორგანი ნამდვილი ჯენტლემენი იყო და ამასთან ისეთი გემრიელი, რომ ვერც-კი წარმოიდგენთ. ვახშმად ორეგონის პატრიარქი გვაჭამეს. აქ კი მოვტყუვდით: ბებერი იყო, გამხდარი, უგემური...

— ბატონებო, ვთქვი მაშინ მე, უკაცრავად არ გახლდეთ და დღევანდელი ვახშამი არ მომწონს. როცა უკეთესს კაცს ამოარჩევთ, მაშინ მოგიამხანაგდებით... და ვახშამს ხელი არ ვახელი.

ილლინოისის მცხოვრები ბ ნი გრაიმსიც მე მომემხრო და იმანაც უარი განაცხადა ვახშამზედ.

ორეგონელის დევისის შემდეგ (არც ეს იყო გემრიელი), გეორგიის მცხოვრებს ბ-ნს ბეკერს შევექეცით, რომელიც, სწორედ უნდა მოგახსენოთ, გარრისს არ ჩამოუვარდებოდა და გემოთი. მერე ხელი მივყეთ ბ-ნს მაკ-ელროის (სლროი არავი) მომეწონა, ძლიერ პატარა ტანისა იყო და გამხდარი, შემდეგ ჯერი მიდგა პენროდზედ, სმიტტზედ და ბეილზედ (ბეილს ერთი ფეხი ხისა ჰქონდა და ამიტომ არ გვეყო სადილად, სხვაფრივ-კი არა უჭირდა რა). შემდეგ შევჭამეთ ერთი ინდიელი ბიჭი, მერე ერთი მემუსიკე, მერე ბ-ნი ბეკმინსტერი, საცოდავი ტაბარუკი, ყოვლად გამოუსადეგარი საზოგადოებისათვისაცა და სადილისთვისაც. კარგიცა ვქენით, რომ საზოგადოებას მოვაშორეთ. ბოლოს, როგორც იყო, ბედმა გაგვიღიმა და გადავრჩით სიკვდილს...

— მადლობა ღმერთს...

— დიაღ, ბატონო, მადლობა ღმერთს! ერთს დღეს, კენჭის ჩამოტარების შემდეგ, მოვიდა ჩვენ საძებნელად გამოგზავნილი მატარებელი და სიკვდილს გადაგვარჩინეს. უკანასკნელი ჩვენი კანდიდატი ბ-ნი ჯონ მურფი იყო; გემრიელიც იქმნებოდა, დარწმუნებული ვარ, მაგრამ რაკი გადავრჩით, ბ-ნი მურფიც ცოცხალი დარჩა და ჩვენთან ერთად მატარებლით დაბრუნდა შინ და გარრისის ქვრივი შეირთო.

— იმ გარრისისა, თქვენ რომ...

— დიაღ, სულ პირველად რომ გიახელით. ბ-ნმა მურფიმ შეირთო გარრისის ქვრივი და ძლიერ ბედნიერადა და სიყვარულით სცხოვრობენ. ეს ამბავი ძლიერ საყურადღებოა, — მთელი რომანია. მაგრამ აი სადგურიც. მე აქ უნდა გადავხტე. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო. თუ ჩემკენ როდისმე მოგიხდათ გამოვლა, გთხოვთ ჩემთან მობრძანდეთ, ძლიერ მოხარული ვიქნები. უნდა მოგახსენოთ, ძლიერ მომეწონეთ. ღმერთს გეფიცებით, შესაძლებელია, ისე შემიყვარდეთ, როგორც განსვენებული გარრისი მიყვარდა. ნახვამდის, ბატონო, ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეთ!

—

უცნობი კაცი წავიდა. ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ ასე გაოცებული და ზარ-დაცემული. იმის წასვლა ძლიერ გამეხარდა. სწორედ მოგახსენოთ, როცა ის მითხრა, გარრისზე ნაკლებად არ შემიყვარდებიო, და დამაცქერდა, სული შემეხუთა და გულმა ძგერა შესწყვიტა, ისე შემეშინდა.

ამ დროს თვალი მოვკარი ერთს კონდუქტორს, რომელიც ღიმილით მიყურებდა.

— ვინ არის ეგ კაცი? — ვკითხე კონდუქტორს.

— ერთს დროს წევრი იყო კონგრესისა; მთელი კონგრესი პატივსა სცემდა სასარგებლო მოღვაწეობისათვის. მაგრამ ერთხელ მატარებლით მიდიოდა სადღაც, მატარებელი ნამქერში მოემწყვდა. ეგ კაცი სიცივისა და შიმშილისაგან ძლიერ ავად გახდა და სამი თვე სულით ავადმყოფთა სამკურნალოში იწვა. ეხლა ცოტა მორჩა, მაგრამ ძველი ამბავი რომ გაახსენდება ხოლმე, იმდენ ხანსა ყბედობს, ვიდრე თავისს ჰკუაში იმ დროს მატარებელში მყოფ ყველა მგზავრს არ შესჭამს. ეხლაც აგრე იქმნებოდა, რომ არ გადამხტარიყო იმ სადგურზედ. ბოლოსს თავისს მოთხრობას ასე ათავებს ხოლმე:

— დასასრულ, როცა ჩემ გარდა ყველანი შევჭამეთ და მარტო მე დავრჩი, ერთხმად შევიქმენ არჩეული, შესაჭმელად რადგანაც ოპოზიცია არსად იყო, მაგრამ მე უარი განვაცხადე ჩემს არჩევანზედ და ამიტომ ცოცხალი დავრჩიო.

გულიდგან თითქოს ლოდი მომწყდაო, ისე მესიამოვნა, როდესაც გავიგე, რომ ის კაცი გიჟი ყოფილა და მე-კი მართლა კაცი-ჭამია მეგონა.

ა. ნ.

ბევრი ილაპარაკეს ჟურნალ-გაზეთებმა ამ საგნის შესახებ და ბოლოს რომ ვეღარაფერი გამოარკვიეს, სხვა მხარეს მიაქციეს ყურადღება. ხელ-ახლად წამოაყენეს გაზეთებმა რუს-ფრანგთა კავშირი და ის, თუ რამდენად ძლიერია ეს კავშირი დარამდენად ეთანხმება ერთმანეთს ამ ორ სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ საგნის შესახებ ვიენის დეპუტატის ბაზილის აზრი, რომელიც რამოდენიმე ხანი პეტერბურგში სცხოვრობდა და შეძლება ჰქონდა კარგად გაეცნო რუსეთის მმართველი წრეები და იმათი აზრი და შეხედულობა ფრანგებზედ. ბაზილმა წინადაც გამოსცა ცალკე წიგნი ამ საგნის შესახებ, ხოლო ახლა „Eclair“, „Caulois“ და სხვა გაზეთების თანამშრომლებთან ლაპარაკში დაწვრილებით წარმოუთქვამს ყოველივე. საერთოდ ბაზილი არ არის კმაყოფილი რუსეთისა. საფრანგეთი და ფრანგები, რასაკვირველია, უყვართ და პატივსა სცემენ რუსეთშიო, მაგრამ მაინც ისე არა, როგორც სასურველიაო. ყველა რუსეთის მინისტრები არ არიან საფრანგეთის მომხრენიო და საერთოდ თითქმის ყველანი იმასა სცდილობენ, რომ საფრანგეთი გერმანიას დაუახლოვდესო. ასეთი პოლიტიკა, ბაზელის აზრით, გამოწვეულია, იმ მოსაზრებით, რომ რუსეთს უნდა გერმანიის დახმარებით წინაღმდეგობა გაუწიოსო ინგლისის მტაცებლობას ეგვიპტეშიო, მაგრამ რუსეთის პოლიტიკოსებს ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ელზას-ლოტარინგია უფრო საყურადღებო საგანია, ვიდრე ეგვიპტეო, და ვიდრე პირველი საქმე არ გამოირკვევა და გათავდება, მანამ ევროპის დაწყნარება და მშვიდობიანობა ყოვლად შეუძლებელია. ყველაზედ ცუდი ის არისო, ამბობს ბაზილი, რომ რუსეთში ცალკე გერმანელითა დასია, რომლის გავლენასაც რუსეთი თანდათან ემორჩილებაო.

უკმაყოფილოა ბაზილი აგრეთვე რუსეთის უბრალო ხალხით. არავითარს სიყვარულსა და თანაგრძნობას მათ შორის ვერ იპოვითო და ისე არაფერი იციან იმათ ფრანგებისა, როგორც ჩინელებისაო. დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი ამბავი. პეტერბურგში ყოფნის დროს ერთს ჩემს კარგს ნაცნობს ვთხოვეო ეკითხა რამე თავისის მოსამსახურესათვის ფრანგების შესახებაო. ჩემმა ნაცნობმა დაუძახა მოსამსახურეს და ჰკითხა: ვისთან უფრო არჩევ ომსა, ფრანგებთან თუ გერმანელებთანაო, და ბაზილის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონია, როდესაც მოსამსახურეს მიუგია: „ჩემთვის ეგ სულ ერთია, თუ მთავრობამ მიბრძანა ფრანგებთან ძრძოლა, ფრანგებს ვებრძოლებიო და თუ გერმანელებთან — გერმანელებსაო.“ თუ ამ მოსამსახურეს, რომელიც პეტერბურგში სცხოვრობს და რომელსაც გაგებული ექმნება რამ ფრანგებისა და რუსების კავშირის შესახებ, არავითარი სიყვარული არა აქვს ფრანგებისადმი, რასაკვირველია, ამბობს დასასრულ ბაზილი, სოფლის ხალხში ასეთს გრძნობას, არამც თუ ვერ ვპოვებთ, პირ-იქით, არც-კი ეცოდინებათ, ვინ არიან და სად არიან ფრანგებიო.“

## დამაკვირდი

კაცთა საქმეთა განმკიცხველი განმკითხველია თვისთა მსაჯულთა.

სენეკა

***

თავ-დაუჭერელი რისხვა მცირე-ხნოვანი სიგიჟეა.

ჰორაციო

***

კაცთა ცოდვანი და დანაშაულნი უფრო ბევრს რასმეს გვასწავლის, ვიდრე კეთილნი საქმენი მათნი.

პასკალი

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ეხლახან გამოუგონიათ ისეთი თოფი, რომელიც ერთს წუთში 500—600 ჯერ ისვრის თურმე. ეს საკვირველი თოფი საოცარის სისწრაფით თითონვე აწყობს პატრონას, თითონ ჰცლება, ცალიერ პატრონას აგდებს და მეორედ ისვრის. პატრონები ერთს გძელს ლენტზედ არის დაწყობილი და ვიდრე სულ არ გამოილევა, თოფის სროლა არ შეჩერდება. თოფი ყოველისავე მოწყობილობით სულ 30 გირვანქას იწონავს და ერთს კაცს ადვილად შეუძლიან მრავალი მტერი გააწყოს.

***

ჟურნალ-გაზეთებში თითქმის ყოველ დღე იბეჭდება სხვა-და-სხვა ცნობა შავის ჭირისა ანუ ჟამის შესახებ. ეს სენი ამ ჟამად კარგადა აქვთ მეცნიერებს გამოკვლეული და იმედი აქვთ, რომ ადრე თუ მალე იმის წინაღმდეგ უებარს საშუალებას გამოიგონებენ. ამბობენ, შავის ჭირისაგან 100 კაცში 5 ძლივსა რჩებაო. ავადმყოფობა 3—7 დღეს გასტანს ხოლმე და თუ კაცი მეშვიდე დღეს არ მოკვდა, მორჩენის იმედი არისო. მეცნიერები ამტკიცებენ აგრეთვე, რომ შავი ჭირის გავრცელებას ხელს უწყობს სითბო, და არა სიცხე და სიცივე. თუ ძლიერ დიდი სიცხე დაიჭირა, ჟამი თავის თავად ნელდება. ყველა მოდგმათა შორის კავკასიის მოდგმას შავი ჭირი თურმე ნაკლებად ეტანება. ამ ჟამად ჟამი ისე საშიში არ არის, როგორც წინად იყო. მართალია, ჯერ უებარი წამალი არ არის გამოგონილი, მაგრამ ისეთი წამალი-კი უკვე არის, რომელიც ძლიერ ბევრს ავადმყოფებს არჩენს. მაგალითად გონგკონგში 24 ავადმყოფს უწამლეს და ამათში 3 გარდაიცვალა და 21 მორჩა. ესეც ძლიერ დიდი სიკეთეა.

შავი-ჭირის ბუდე ერთი ჩინეთშია— იუნანის პროვინციაში და მეორე მცირე აზიაში, სპარსეთში და არაბეთში. ამ ადგილებიდგან ჭირი უფრო ხშირად გადმოსულა ეგვიპტესა და ინდოეთში. ამბობენ, შავი-ჭირი უფრო იმ ადგილისათვის არის საშიში, სადაც პირველად გაჩნდებაო.

საყურადღებოა იაპონელ პროფესორის კიტაზატოს გამოკვლევა. ეს პროფესორი ამტკიცებს, რომ მზის სხივი ჭირის ბაცილას ორ დღეში ჰკლავსო, კარბოლის სიმჟავე ერთს საათში და კირნარევი წყალი-კი —სულ რამდენსამე წუთში ჰხოცავს ამ ბაცილებს. პროფესორი კიტაზატო ამტკიცებს აგრეთვე, რომ შავს-ჭირს თაგვები ავრცელებენო.

მეორე იაპონელივე პროფესორი აოგამა ამბობს, რომ ჭირის გავრცელებას ხელს უწყობს მოშხამული წყალი და ჭირიან ადგილიდგან მოტანილი საქონელიო.

(„Б. З.“)

***

ამერიკელი მკურნალი ბ-ნი ვუდი ამტკიცებს, რომ პირბადის ანუ ვუალის ხმარება ძლიერ მავნებელია თვალებისთვისაო. ამ მკურნალის სიტყვით, ქალებს ხშირადა სტკივათ ხოლმე თვალები, თავი და ზოგჯერ გულის რევაც მოსდით.

ეს იმით აიხსნებაო, ამბობს ბ-ნი ვუდი, რომ ვუალისაგან თვალი ძლიერ მალე იღლება. განსაკუთრებით მავნებელია წინწკლებიანი ვუალი.

დასასრულ მკურნალი ვუდი ამბობს, თუ ქალები მაინც არ დაიშლიან ვუალის ხმარებას, ამას მაინც ვურჩევ, რომ სადა ვუალი იხმარონ და გარდა ამისა კითხვის დროს უეჭველად მოიხსნან ხოლმე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო შთამომავლობით საპატიო მოქალაქეთ დიმიტრი პეტრაკოკინს, ანდრია სპარიმანგს და გიორგი ევმარფოპულოს გამართონ იმპერიაში ხელის-მოწერა ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს დაზარალებულ ბერძენ ოჯახთა სასარგებლოდ და ამ აზრითვე შესდგეს კომიტეტი, რომლის წევრებადაც თვითვე უნდა იყვნენ.

**პარიჟი.** „თანხმობის მოედანზე, სტრასბურგის ძეგლის წინ ააფეთქეს ყუმბარა. არაფერი დაზარალებულა და ხალხთაგან არავინ დაშავებულა. აფეთქება ძლიერი იყო. თავდა პირველმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ ასაფეთქებელი იარაღი ქვაბის მსგავსი ყოფილა. იარაღის ნამტვრევებმა ცოტად დააზიანა ძეგლის აივანი. ლეპინმა დაიწყო გამოძიება. აფეთქების დროს წვიმა მოდიოდა, რის გამოც მოედანზედ ხალხი არა ყოფილა. რივოლის ქუჩის კუთხეში სისხლის კვალი უპოვნიათ. დაპატიმრებულია ორი კაცი, რომელთაგანს ერთს ნამტვრევები მიჰქონდა თურმე. პოლიციის კომისარი უკვე შეუდგა ამ კაცების გამოკითხვას.

**კალკუტა.** ასამიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რა დიდი ზარალი მოუხდენია მიწის ძვრას იქ. შილონგში ყველაფერი მიწასთან გასწორებია; ბევრი ხალხია დახოცილი. გაუხატს დიდი ზარალი მიაყენა თურმე მიწის ძვრამ. ქუჩებში ყველგან ჰაობებია. რკინის გზა სრულიად გაქრა. ასეთსავე აოხრებას და ხალხის დახოცვას სხვა ადგილებიდგანაც იუწყებიან. ბევრგან მიმოსვლა შეჩერებულია.

**კონსტანტინეპოლი.** ის ამბავი, რომ ვითომც ახლად შეეკვეთნოთ მაუზერის თოფები, ტყუილია. მონასტირის, სალონიკის და სმირნის ვილაეტებიდგან გამოწვეული მუსტაგაფიზებისაგან ცალკე დივიზია არ შესდგება. ესენი დარჩებიან იმ ადგილებში, სადაც მეციხოვნენი არ არიან.

6 ივნისი.

8 ივნისს დანიშნულია ნათლობა უმაღლეს ახლად შობილის დიდის მთავრინასი ტატიანა ნიკოლოოზის ასულისა. ნათლობა მოხდება პეტერგოფის დიდს სასახლეში.

**პარიჟი.** გუშინ რომ ყუმბარა ააფეთქეს, ძლიერ საშიში ყოფილა: ყუმბარის ნატეხები თუჯისა გამოდგა.

**ათინა.** ოხულუდისმა განუცხადა დიდ სახელმწიფოთა ელჩებს, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკების დაგვიანება ძლიერ საზარალოა საბერძნეთისთვის, რომელიც იძულებულია დიდ ძალი ჯარი შეინახოს.

**ვაშინგტონი.** სენატს წარუდგინა ხელშეკრულობა შეერთებულ შტატებსა და სანდვიჩის კუნძულებ შორის პრეზიდენტის მოხსენება. კუნძულები ყველაფერში ემორჩილებიან შეერთებულ შტატებს და ეხლა მხოლოდ ის უნდა გადაწყდეს, როგორი მთავრობაა საჭირო კუნძულებისთვის. მაკ-კინლეი ამბობს თავის მოხსენებაში, რომ აქ საქმე კუნძულების შემოერთებაზე კი არ არის, არამედ განმტკიცებაა ეხლანდელ კეთილ განწყობილებისა ორ ერთა შორის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან შთამომავლობითა და მეგობრობით.

**პარიჟი.** ამბობენ, რომ ხვა კანდიდატებზედ მეტად საიმედოა ბ-ნი დროზი, შვეიცარიის პრეზიდენტად ნამყოფი.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც რამე შემწეობა აღმოუჩინეს ხიდრის წმიდა გიორგის ეკკლესიის შეკეთებას და გამშვენიერებას:

1. დეკანოზ დავით ღამბაშიძეს, რომელიც დაგვეხმარა საიმედო ოსტატის შოვნისა და ხატების გამოწერის დროს.

2, მღვდელს ანდრია ბერაძეს, რომელიც ამ ეკკლესიის აშენების დროიდგან ხელს გვიწყობდა და თვისი სათვისით იყიდა სახარება ღირებული 22 მან. 50 კაპ., სანაწილე, ღირებული 20 მან. და ფულადაც შემოსწირა კანკელის გაკეთების დროს 100 მანეთი.

3, ბიჭია მასხარაშვილს, რომელმაც შემოსწირა 2 შანდალი, ღირებული 10 მანეთად.

4, ასლანა, ბესო და თადეოზ თომას ძეთ ბერაძეებს, რომელთაც გარდაცვალებულის მამის სულის საოხებლად შემოსწირეს ხომლი, ღირებული 35 მანეთად.

ხიდრის წმიდის გიორგის მრევლის მონდობილობით მაქსიმე გიორგის ძე ბერაძე


## განცხადებანი

**გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა** ამით აცხადებს, რომ 23 ივნისს 1897 წელს, 12 საათზედ, ქ. ტფილისს, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, მოხდება საჯაროდ გასყიდვა, ვაჭრობის განუმეორებლად ალექსანდრე და ვლადიმერ სტეფანეს ძეთ კლიუჩაროვებისეულ უძრავის მამულისა, რომელიც იმყოფება ქალაქ ბათუმში, კამაროვისა და სმეკალოვსკის ქუჩების კუთხეში და შესდგება ორ სართულიანის სახლისაგან სარდაფით და ერთ-სართულიანის ფლიგელისაგან, მიწა ზომით 300 ოთხ-კუთხი საჟენი. მამულზედ ითვლება: თავნი ვალი—18,054 მან. 34 კ. და ძველი დარჩენილი გარდასახადი — 679 მანეთი 71 კაპ., სულ 18,734 მან. 05 კ. საჯარო ვაჭრობა დაიწყობა 18,734 მან. 05 კაპეიკიდგან, იმ ძველის დარჩენილის ქალაქის გარდასახადთა მიმატებით, რომელნიც ვაჭრობის დღისთვის აღმოჩნდებიან. ბანკის თავნი ვალი შეიძლება გარდახდილ იქმნას ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება მანეთი მანეთად მათის დარქმეულის ფასისამებრ და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით გადატანილ იქმნას მყიდველზედ. ძველი დარჩენილი გირდასახადი-კი გარდახდილ უნდა იყოს ნაღდის ფულით.

(1—6—1)

## ისყიდება

ნაჭერი მიწა ვერაზედ, ხიდს გაღმა, საბალოსნო სახელოსნოს მარჯვნივ. გლავაჩეკ. (2—106—1)

## „ივერია“

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 „ — — — — | 6 | „ |
| 11 „ — — — — | 9 | 50 | 5 „ — — — | 5 | 50 |
| 0 „ — — — — | 8 | 75 | 4 „ — — — | 4 | 75 |
| 9 „ — — — — | 8 | „ | 3 „ — — — — | 3 | 50 |
| 8 „ — — — — | 7 | 25 | 2 „ — — — — | 2 | 75 |
| 7 „ — — — — | 6 | 50 | 1 „ — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверіа“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 დ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წლის მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

## ახალი რუსული წიგნი

დაიბეჭდა და ყველა თბილელს წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად ახალი რუსული წიგნაკი: ПРАВДА О ТИФЛИСѢ, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. ფასი ერთი აბაზი.


Дозволено цензурою, Тифлисъ 6-го Юнія 1897 г.

სტამბა ქ. მარტისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ოლია ჭავჭავაძე.